კვლევის ანგარიში

კლასის მართვა: ქცევითი დარღვევები და სწავლების მეთოდოლოგიები

მატასი ვაშაკიძე

გვანცა ძნელაძე

ტატა კუტალაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სა ხელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე (ასოცირებული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

102-ე საჯარო სკოლაში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის თემას წარმოადგენს „კლასის მართვა: ქცევითი დარღვევები და სწავლების მეთოდოლოგია“. საკითხზე მუშაობის მეთოდოლოგიური საფუძველია პრაქტიკული კვლევა, რომელიც პრობლემის მონაწილეობითი გზით გადაჭრაზეა ორიენტირებული.

პრაქტიკული კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის სხვადასხვა მეთოდები. სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ, მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფისა და მასწავლებელთა ინტერვიუების შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეებსა და მასწავლებლებში არის დაბალი მოტივაცია, არ ხდება ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება, ხშირია ქცევთი დარღვევები, მოსწავლესთან ურთიერთობა ნაკლებად არის დამყარებული ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებზე. შესაბამისად, პრაქტიკული კვლევის მიზანს წარმოადგენდა ამ პრობლემებისა და ხარვეზების აღმოფხვრა როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების ჩართვით პრობლემის გამომწვევი მიზეზების დაზუსტებაში, ინტერვენციების დაგეგმვასა და ამ ინტერვენციების შედეგების შეფასებაში.

ამ მიგნებებზე დაყრდნობით, სკოლის საზოგადოებასთან თანამშრომლობით, კვლევის ფარგლებში ორი კონკრეტული ამოცანა დაისახა, რომელთა გადაჭრა პრაქტიკული კვლევის განხორციელების ვადებში იქნებოდა შესაძლებელი: ა) სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება და ბ) კლასში ქცევის წესებსა და საერთო ღირებულებებზე შეთანხმების მიღწევის ხელშეწყობა.

სამიზნე სკოლაში არსებული მდგომარეობის განმეორებითი ანალიზი (ინტერვენციების განხორციელების შემდეგ) კლასის მართვის კუთხით სიტუაციის თვალსაჩინო გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

თემატური საძიებო სიტყვები: კლასის მართვა, ქცევა, სწავლების მეთოდოლოგია.